განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ფიცხელაური
წევრ(ებ)ი:
მარიამ კავლელიშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**სსიპ**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**223104389**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთა**
ფაქტობრივი მისამართი	**ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოთა**
საფოსტო ინდექსი	

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**oti@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**595514022**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000492565 28/04/2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 28 აპრილის №MES 4 26 0000492565 ბრძანების საფუძველზე , განხორციელდა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის (ს/კ: 223104389) მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი. შეფასების პროცესი წარიმართა დისტანციურად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძვლიანი შესწავლის გზით. მონიტორინგი განხორციელდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორი ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფის მიერ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტებით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობა.
მოცემული დოკუმენტური შესწავლის, დისტანციური მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
60	**41**

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	■ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი *N* **1.1.1.3**	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	**სკოლას მიეცა რჩევა:** შეინარჩუნოს და კიდევ უფრო განავითაროს სტრატეგიული დოკუმენტების (მისია, ხედვა, ღირებულებები) პერიოდული გადახედვის, განახლებისა თუ გაზიარების პროცესში სასკოლო საზოგადოების (მათ შორის, მოსწავლეთა თვითმმართველობის) ფორმალური მონაწილეობის დოკუმენტირების პრაქტიკა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

ინდიკატორის ნომერი	*წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაცია*	*შესრულების სტატუსი*

ინდიკატორი 1.2.1.3.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023 – 20.12.2023.	**შესრულდა.** სკოლამ სრულად უზრუნველყო საგეგმო დოკუმენტების ურთიერთთავსებადობა და აღმოფხვრა წინა პერიოდში არსებული ხარვეზი. მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.) შინაარსობრივად, სტრუქტურულად და ლოგიკურად სრულად ეფუძნება და გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (2023-2030 წწ.).
ინდიკატორი 1.2.1.4.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს ამოცანები, აქტივობის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და საჭირო რესურსები. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 20.11.2023 – 20.12.2023.	**შესრულდა**. სკოლამ სრულად გაითვალისწინა გაცემული მითითება და წარმოადგინა სტრუქტურულად გამართული ახალი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ.). დოკუმენტში თითოეული სტრატეგიული მიზანი ჩაშლილია კონკრეტულ ამოცანებად და პრაქტიკულ აქტივობებად. თითოეული ნაბიჯისთვის მკაფიოდ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ხარისხობრივი/მატერიალური ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური) რესურსები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული სტრატეგიული დოკუმენტაცია (მისია, ხედვა, ფილოსოფია და ღირებულებები). ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლის ფილოსოფია და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. დოკუმენტებში ადეკვატურად არის ასახული სკოლის სპეციფიკა (მცირეკონტიგენტიანი გარემო) და ადგილობრივი თემის კონტექსტი (ქრისტიანული და მუსლიმური თემის მშვიდობიანი თანაცხოვრება და მრავალფეროვნების აღიარება).

წინა შეფასებისას გაცემული მიგნებების საპასუხოდ, სკოლამ იმუშავა მისიისა და ხედვის კომპონენტების ურთიერთშესაბამისობაზე. ახალ რედაქციაში მათ შორის შინაარსობრივი და ლოგიკური კავშირი იკვეთება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკოლის ხედვა კვლავაც არ არის ჩამოყალიბებული დროში გათვლილ და გაზომვად საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნად, რაც სრულყოფილად ვერ პასუხობს წინა ექსპერტთა მიერ გაცემულ მითითებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის („მისია, ხედვა, ფილოსოფია“) ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლას მკაფიოდ აქვს გააზრებული საკუთარი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების გარანტი.

წინა შეფასების მსგავსად, სკოლის მისიაში კვლავაც წამყვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეზე ორიენტირებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს თითოეული ბავშვის აკადემიურ წარმატებასა და პიროვნულ განვითარებას. ხედვის კომპონენტში კი პირდაპირ არის დეკლარირებული სწრაფვა უსაფრთხო, ინკლუზიური და მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფისკენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრატეგიულ ხედვასა და ღირებულებებში ადეკვატურად არის რეფლექსირებული ადგილობრივი სოციო-კულტურული კონტექსტი. კერძოდ, დოკუმენტში ხაზგასმულია კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების აღიარება (ქრისტიანებისა და მუსლიმანების მშვიდობიანი თანაცხოვრება), თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა და ოჯახსა და ადგილობრივ თემთან მჭიდრო პარტნიორობა. მცირეკონტიგენტიანი გარემოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული ეფექტური საგანმანათლებლო სივრცის არსებობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს, სკოლას შენარჩუნებული და გაძლიერებული აქვს წინა შეფასებისას დაფიქსირებული პოზიტიური დინამიკა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კოლეგიური ორგანოების სხდომების ოქმები. წინა შეფასებისას გაცემული მიგნებების საპასუხოდ, რომელთა მიხედვითაც სკოლა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობას ძირითადად ზეპირი კომუნიკაციით ახორციელებდა და დოკუმენტურად ვერ ადასტურებდა, დაწესებულებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მართვის პროცესების ფორმალიზებისა და დოკუმენტირების მიმართულებით.

სკოლის მცირეკონტინგენტიანი სპეციფიკიდან გამომდინარე (41 მოსწავლე), მშობლებთან, თემთან და პედაგოგებთან უშუალო და ოპერატიული ზეპირი კომუნიკაცია კვლავაც რჩება სკოლის ძლიერ მხარედ, თუმცა ამჟამად აღნიშნული თანამშრომლობა უკვე ასახულია ოფიციალურ დოკუმენტაციაში. წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოსა (ოქმი N2) და პედაგოგიური საბჭოს (ოქმი N1) სხდომების მასალები ადასტურებს, რომ სკოლის სამოქმედო ორიენტირები, ღირებულებები და განვითარების სტრატეგიული საკითხები განიხილება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (პედაგოგები, მშობლები) აქტიური მონაწილეობითა და თანამშრომლობით.

ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს და ჩართულია სკოლის მისიისა და ხედვის რეალიზაციის პროცესში, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ არის ოქმებში ასახული.

სკოლას მიეცა რჩევა: შეინარჩუნოს და კიდევ უფრო განავითაროს სტრატეგიული დოკუმენტების (მისია, ხედვა, ღირებულებები) პერიოდული გადახედვის, განახლებისა თუ გაზიარების პროცესში სასკოლო საზოგადოების (მათ შორის, მოსწავლეთა თვითმმართველობის) ფორმალური მონაწილეობის დოკუმენტირების პრაქტიკა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კოლეგიური ორგანოების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. წინა შეფასების პერიოდში არსებული მიგნების საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც სკოლა სტრატეგიული დოკუმენტების გაზიარებას მხოლოდ ზეპირი, არაფორმალური კომუნიკაციით ახორციელებდა, მიმდინარე ეტაპზე ფიქსირდება პოზიტიური დინამიკა მართვისა და ინფორმირების პროცესების დოკუმენტირების კუთხით.

წარმოდგენილი პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების სხდომების ოქმები (ოქმი N1, ოქმი N2, ოქმი N4) ადასტურებს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებითი ორიენტირები რეალურად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ. კოლეგიური ორგანოების შეკრებებზე მიმდინარეობს სკოლის სამოქმედო გეგმების, ბიუჯეტისა და შინაგანაწესის ერთობლივი განხილვა, რაც მოწმობს, რომ დაინტერესებული მხარეები არა მხოლოდ იცნობენ, არამედ ჩართულნი არიან მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში.

მცირეკონტინგენტიანი სკოლის სპეციფიკა უზრუნველყოფს მჭიდრო და ეფექტურ შიდა კომუნიკაციას, რაც ამჟამად მატერიალური მტკიცებულებებითაც დასტურდება. სასკოლო საზოგადოება იზიარებს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო, ინკლუზიური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემაზე დაფუძნებული სივრცის განვითარებაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სტრატეგიული დოკუმენტების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის საკითხი. წინა შეფასების პერიოდის მსგავსად, სკოლა მიმდინარე ეტაპზეც სრულად უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და ღიობას სასკოლო თუ ფართო საზოგადოებისთვის.

წარმოდგენილი მტკიცებულებების (ბმულებისა და ფოტომასალის) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის განახლებული მისია, ხედვა და ფილოსოფია განთავსებულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფაზე, რაც აადვილებს სასკოლო საზოგადოების ყოველდღიურ იდენტიფიკაციას სკოლის ღირებულებებთან. გარდა ამისა, აღნიშნული დოკუმენტაცია საჯაროა ელექტრონულ ფორმატშიც და ხელმისაწვდომია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიციალურ პორტალზე (skolebi.emis.ge).

ინფორმაციის საჯაროობის კუთხით სკოლაში არსებული მექანიზმები ეფექტურია და სრულად პასუხობს დადგენილ სტანდარტს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული სტატუსი და მისი ოფიციალური სახელწოდების შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ აქტებთან.

წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის, სამართლებრივი აქტებისა და კოლეგიური ორგანოების სხდომების ოქმების ანალიზით დგინდება, რომ სკოლის სახელწოდება — „სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლა“ — ზუსტად ასახავს დაწესებულების სამართლებრივ სტატუსს. იგი სრულად შეესაბამება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დადგენილ წესსა და მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სტრატეგიული დოკუმენტაცია:** სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის დოკუმენტი — „მისია, ხედვა, ფილოსოფია და ღირებულებები“;
- **კოლეგიური ორგანოების სამართლებრივი აქტები (ოქმები):**
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2** (05.09.2025 წ.)
- სკოლის **პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1** (09.09.2025 წ.)
- სკოლის **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4** (09.12.2025 წ.)
- **ფოტომასალა (20260514_160306.jpg),** რომელიც ასახავს სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას (საინფორმაციო დაფაზე) გამოკრულ მისიას, ხედვასა და ფილოსოფიას;
- **ელექტრონული რესურსი/ბმული:** განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ოფიციალური პორტალი — სკოლების კატალოგი (https://skolebi.emis.ge/)
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ და სკოლის ოფიციალური ბლანკები/საქმისწარმოების დოკუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. ანალიზმა აჩვენა, რომ წინა შეფასების პერიოდთან შედარებით, სკოლამ კიდევ უფრო დახვეწა და ინსტიტუციურად გამართა სტრატეგიული დაგეგმვის შიდაპროცედურული მექანიზმები.

წარმოდგენილი რეგულაცია დეტალურად განსაზღვრავს სტრატეგიული (6-წლიანი) და სამოქმედო (1-წლიანი) გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და მონიტორინგის პროცესებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების კონკრეტული ინსტრუმენტები. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მართვის გამჭვირვალობას, ვინაიდან მასში სტრუქტურირებულად არის მოცემული შესრულებული სამუშაოს ანგარიშგებისა და მიღებული შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარების ვალდებულება.

აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება სკოლის მცირეკონტინგენტიან სპეციფიკას და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული, მოქნილი მართვის სისტემის ფუნქციონირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2023-2030 სასწავლო წელი). დოკუმენტის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია მისიასა და ფილოსოფიაზე დაფუძნებული გრძელვადიანი დაგეგმვის ეფექტური სისტემა.

სტრატეგიული გეგმა სტრუქტურულად გამართულია და ეყრდნობა დაწესებულების წინაშე არსებული რეალობის ობიექტურ შეფასებას (SWOT ანალიზს). დოკუმენტში მკაფიოდ არის ფორმულირებული სკოლის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც სრულ თავსებადობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და სკოლის დეკლარირებულ მისიასთან. თითოეული სტრატეგიული მიზანი ლოგიკურად არის ჩაშლილი კონკრეტულ ამოცანებად, ხოლო მათი შესრულების დინამიკა გაწერილია წლების მიხედვით, 2030 წლამდე პერიოდისთვის.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიულ გეგმაში მიზნების ამგვარი ეტაპობრივი და დროში გაწერილი სტრუქტურა რეალურად უზრუნველყოფს სკოლის განვითარების პროცესის ციკლურობასა და მართვადობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული საგეგმო დოკუმენტაცია და ანგარიშგების სისტემა. მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლამ სრულად აღმოფხვრა წინა შეფასებისას დაფიქსირებული შინაარსობრივი აცდენა გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს შორის.

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები) სრულად ეფუძნება დაწესებულების შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, მის მისიასა და პრიორიტეტებს. დოკუმენტში სტრუქტურირებულად არის გაწერილი კონკრეტული აქტივობები, შესრულების დროითი გრაფიკი, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და საჭირო რესურსები.

გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მოწმობს, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ყოველწლიური თვითშეფასებისა და შიდა მონიტორინგის ეფექტური პრაქტიკა. საგეგმო დოკუმენტების შემუშავება ხდება სწორედ ამ თვითშეფასების შედეგებისა და გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი დაგეგმვის მექანიზმები სრულად პასუხობს დადგენილ სტანდარტებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები). მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საპასუხო პერიოდში დაწესებულებამ წარმატებით და სრულფასოვნად აღმოფხვრა წინა ავტორიზაციის/შეფასებისას გამოვლენილი ხარვეზები საგეგმო დოკუმენტის კომპონენტებთან მიმართებით.

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამოირჩევა მაღალი სტრუქტურული გამართულობით. მასში რეალიზებულია მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების თანმიმდევრული ლოგიკური ჯაჭვი. თითოეული ნაბიჯისთვის განსაზღვრულია შესრულების ვალიდური და გაზომვადი ხარისხობრივი თუ მატერიალური ინდიკატორები, რაც შესაძლებელს ხდის შიდა მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებას.

დოკუმენტში ადეკვატურად არის გადანაწილებული ადამიანური პასუხისმგებლობები და გაწერილია მიღწევადი დროითი ჩარჩოები. მასში იდენტიფიცირებული მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები სრულ თანხვედრაშია სკოლის რეალურ შესაძლებლობებთან და უზრუნველყოფს დასახული გეგმების პრაქტიკულ განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ოპერატიული დაგეგმვის მექანიზმები სრულად პასუხობს დადგენილ სტანდარტებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2023-2030 სასწავლო წლები), რომელიც ეფუძნება SWOT ანალიზს და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), განხილული სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ მიერ 2025 წლის 5 სექტემბერს;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ნარატიული ანგარიში (დათარიღებული 2025 წლის 20 ივნისით), რომელიც ასახავს მიღწეულ შედეგებსა და ინდიკატორების შესრულების დინამიკას;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 (09.12.2025 წ.), რომელიც ადასტურებს სამოქმედო გეგმის აქტივობების ფინანსურ-მატერიალურ უზრუნველყოფას და ბიუჯეტის პროექტის განხილვას;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“. მტკიცებულებების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მართვის ციკლის კონტროლის, შიდა მონიტორინგისა და შეფასების მდგრადი სისტემა.

წარმოდგენილი რეგულაცია სამართლებრივად და შინაარსობრივად გამართულია. მასში დეტალურად არის გაწერილი გეგმების შესრულების მიმდინარეობის, მონაცემთა შეგროვებისა და ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი ანალიზის პროცედურები. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მართვის ციკლის უწყვეტობას, ვინაიდან მონიტორინგის შედეგად მომზადებული ნარატიული ანგარიშები წარმოადგენს საფუძველს მომდევნო პერიოდის ოპერატიული მიზნების დასახვისა და საგეგმო დოკუმენტებში აუცილებელი ცვლილებების შეტანისათვის.

კოლეგიური ორგანოების (სამეურვეო საბჭო) ჩართულობა ანგარიშების მოსმენისა და ვერიფიკაციის პროცესში გარანტს ქმნის მმართველობითი პროცესების გამჭვირვალობისა და ვალიდურობისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაცია და კოლეგიური ორგანოების მუშაობის ამსახველი მასალები. მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა შეფასების პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც სკოლა პირველადი ავტორიზაციის გამო ვერ ადასტურებდა მონიტორინგის შედეგების პრაქტიკულ გაზიარებას, მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებაში ეს პროცესი სრულფასოვნად ხორციელდება.

სკოლის მიერ მომზადებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ნარატიული ანგარიში (2025 წლის 20 ივნისი) ადასტურებს, რომ დაწესებულება ახდენს დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხარისხობრივ შეფასებას. კოლეგიური ორგანოების სხდომების ოქმები (კერძოდ, სამეურვეო საბჭოს ოქმი N4) მოწმობს, რომ აღნიშნული ანგარიშები და საგანმანათლებლო/ფინანსური მიღწევები აქტიურად განიხილება სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მასწავლებლებთან და მშობლებთან). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობისა და გამჭვირვალობის საკითხი. მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა შეფასების პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც პირველადი ავტორიზაციის გამო სკოლას არ გააჩნდა გასაჯაროების პრაქტიკული გამოცდილება, მიმდინარე ეტაპზე დაწესებულება სტაბილურად უზრუნველყოფს ინფორმაციის ღიობას.

სკოლის შიდა მარეგულირებელი ჩარჩო („მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“) წარმატებით განსაზღვრავს ანგარიშების გასაჯაროების სავალდებულო პროცედურებს. პრაქტიკულ დონეზე, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ნარატიული ანგარიშები და კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლა ინფორმაციის საჯაროობისთვის იყენებს როგორც მატერიალურ

(საინფორმაციო სტენდი), ისე ელექტრონულ რესურსებს (EMIS-ის ოფიციალური პორტალი skolebi.emis.ge), რაც უზრუნველყოფს გარე მომხმარებლების თავისუფალ წვდომას სკოლის განვითარების შედეგებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სტრატეგიული და ოპერატიული გეგმების შესრულების შედეგების შემდგომი გამოყენების პრაქტიკა. მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა შეფასების პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც პირველადი ავტორიზაციის გამო დაწესებულებას არ გააჩნდა საანგარიშგებო მონაცემები, მიმდინარე ეტაპზე სკოლაში დანერგილია შედეგებზე ორიენტირებული მართვის მდგრადი მიდგომა.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია (2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში) და კოლეგიური ორგანოების (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების) სხდომების ოქმები ადასტურებს, რომ სკოლა ახდენს მიღწეული შედეგების რეფლექსიას და მათ პრაქტიკულ ტრანსფორმაციას მომდევნო წლის სამოქმედო პრიორიტეტებში. გამოკვეთილი საჭიროებები საფუძვლად დაედო ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2025-2026 წლები) ფორმირებას, სასკოლო კურიკულუმების რევიზიასა და შინაგანაწესის დახვეწას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის დოკუმენტი — „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ (2025 წ.), სადაც გაწერილია ანგარიშების საჯაროობის მექანიზმები;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4 (09.12.2025 წ.), რომელიც ასახავს შედეგებისა და ანგარიშების განხილვის საჯაროობას;
- ელექტრონული რესურსი: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ოფიციალური პორტალი (https://skolebi.emis.ge/);
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ნარატიული ანგარიში (2025 წლის 20 ივნისი);

- სკოლის ახალი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წლები), სადაც ინტეგრირებულია განვლილი წლის თვითშეფასების შედეგები;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 (05.09.2025 წ.) და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 (09.09.2025 წ.), რომლებიც ასახავს ანგარიშგების საფუძველზე სასკოლო დოკუმენტაციისა და სამოქმედო პრიორიტეტების განახლებას;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

  ☐ მეტწილად შეესაბამება

  ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

  ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, ასევე მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული დაცვის საკითხები. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, რომელსაც დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებსა და მშობლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ა.შ. დოკუმენტების შინაარსის თანახმად, სკოლა პერიოდულად ახორციელებს რეგულაციების გაცნობას სასკოლო საზოგადოებისთვის. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების რამდენიმე ნიმუში. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის დოკუმენტი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლესთან/ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, გარდა პირველი კლასისა მოსწავლის ჩარიცხვა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის პროცედურები, მოსწავლის კლასიდან - კლასში გადაყვანა, ზოგადი განათლების სისტემის მართვა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესის და დამატებითი დოკუმენტების შესწავლის საფუძვლეზე დგინდება, რომ სკოლა იცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი განსაზღვრავს დამრიგებლის მიერ მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვადებსა და ფორმებს. სკოლის მიერ იქნა მოწოდებული დამრიგებლების მშობლებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრის ამსახველი ფოტო მასალა, ასევე სკოლაში მოქმედი წრეების შესახებ მშობელთა ინფორმაციაზე გაცნობის და თანხობის ფორმები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის შიანაგანაწესი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სკოლაში მოქმედი წრეების შესახებ მშობელთა ინფორმაციაზე გაცნობის და თანხობის ფორმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პროცესები, მხარდაჭერის ფორმები, პირველკლასელთა ტრანზიციის, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის და ინკლუზიური გარემოს შექმნის მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. დოკუმენტით დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს, ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის შექმნა. სკოლას შემუშავებული აქვს სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის დოკუმენტი და დამატებითი გაკვეთილების განრიგი, რაც არეგულირებს მოსწავლეთა რემედიაციის პროცესს. ამ პროცესში აქიურად არის ჩართული როგორც კლასის დამრიგებელი, ასევე საგნის მასწავლებელი. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე დამრიგებლისგან და შესაბამისი საგნის მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მოსწავლეს და პერსონალს უფლებების რეალიზებასთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია დამატებითი სერვისების განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირებასა და გამრავალფეროვნებას; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზებას; მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდას. დაწესებულებამ არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით წარმოადგინა სკოლაში მოქმედი დამატებითი წრეების და კლუბების შესახებ დოკუმენტაცია, სკოლაში ფუნქციონირებს STEAM კლუბი VII-X კლასის მოსწავლეებისთვის, ასევე სამოქალაქო განათლების წრე. სკოლის მიერ მოწოდებული იქნა 2025-2026 სასწავლო წელს არაფორმალური განათლების მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა და დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მმართველობით პროცესის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ეტაპებს, ასევე მასზე პასუხისმგებელ პირებს. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად ჩანს,

რომ სკოლა აკეთებს SWOT ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ საკითხებს. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი, რომელსაც სასწავლო წლის ბოლოს გამოიყენებს მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების დასადგენად. მიღებული უკუკავშირი დაეხმარება სკოლას, გააუმჯობესოს მომსახურება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში მოქმედი კლუბების/წრეების სამოქმედო გეგმა და წესდება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ აქტივობად განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. სკოლას შემუშავებული აქვს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული მომსახურების გეგმა IX-X კლასის მოსწავლეთათვის. სამოქმედო გეგმა მოიცავს როგორც მოსწავლეთა საინფორმაციო შეხვედრებსა და ვორქშოპებს, ასევე სხვადასხვა პროფესიული განვითარების უნარების ტესტირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, მათთან მემორანდუმების გაფორმებას, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასა და პროექტების განხორციელებას.
სასურველია, სკოლამ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის დაგეგმოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს სამომავლოდ პროფესიის არჩევასა და განსაზღვრაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომლის შინაარსის თანახმად განისაზღვრა სკოლაში არსებული დადებითი და სუსტი მხარეები. SWOT ანალიზის საფუძველზე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა შესაბამისად რეაგირებს შემხვედრ სირთულეებზე და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის 2025-2026 SWOT ანალიზი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გეგმა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლაში ამჟამად ირიცხება 4 სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების შინა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, ასევე მოსწავლეთათვის შემუშავებული ინდივიდუალული სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის ოქმი, ინტერვენციების გეგმა და სპეციალური მასწავლებლის ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ასევე გეგმის შედგენის მიზნით ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი. აღნიშნული დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლას შექმნილი აქვს სსსმ მოსწავლისათვის ისგ ჯგუფი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ჯგუფი დაკომპლექტებულია შემდეგი წევრებით: დამრიგებელი, მასწავლებლები რომლებიც უშუალოდ ასწავლიან საგანს, სსსმ მოსწავლის მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/კოორდინატორი, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ისგ ჯგუფის ოქმი;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შინა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთის საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლის ინტერვენციების გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის რეკომენდაცია.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლა ამ ეტაპზე დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლა ამ ეტაპზე დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

   სკოლა ამ ეტაპზე დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 10.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: